

პრესრელიზი

ენერგეტიკის სამინისტროში ბიზნეს ასოციაციის ენერგეტიკის კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ვეფხვაძის ინიციატივით შეხვედრა გაიმართა

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ენერგეტიკის კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ვეფხვაძის ინიციატივით 4 ივლისს, ენერგეტიკის სამინისტროში მორიგი საქმიანი შეხვედრა გაიმართა.

დისკუსია შეეხებოდა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციას, კერძოდ 2018 წლის 1 მაისიდან პირდაპირ მომხმარებლებად დარეგისტრირების ვალდებულებას იმ საწარმოებისთვის, რომლებიც მარაგდებიან 35 ან მეტი კილოვოლტი ქსელით. ასევე, განიხილეს 2018 წლის 1 იანვრიდან 40 მეგავატამდე დერეგულირებული ელექტროსადგურების ბიზნეს საქმიანობის პერსპექტივები და დერეგულირების შედეგად ბაზარზე მოსალოდნელი ცვლილებები. მსგავსი შეხვედრები ბიზნეს ასოციაციის ენერგეტიკის კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ვეფხვაძის ინიციატივით უკვე მეოთხედ შედგა. შეგახსენებთ, რომ ლევან ვეფხვაძე, რომელიც „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს წევრია, აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარედ 2017 წლის მარტში აირჩიეს.

შეხვედრაზე ასოციაციის წევრებს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ირაკლი ხმალაძემ და ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ, ირინა მილორაძემ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის“ შესახებ კანონში გასულ კვირას განხორციელებული ცვლილებები გააცნეს. სამინისტროს მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა და სურვილი, რომ მსგავსი შეხვედრები საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წევრებთან პერიოდულად გაიმართოს, რათა ენერგეტიკულ ენერგეტიკის ბაზრის მოთამაშე სხვადასხვა მხარის ჩართულობა მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი მიმდინარე და დაგეგმილი ცვლილებების განხილვაში.

4.07.2017

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

